ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1852040

ნომერი: AR1299200

თარიღი : 02.04.2015

გაცემის თარიღი : 22.04.2015

გაცნობის თარიღი : 13.06.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქსნის ქუჩის მიმდებარედ მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროს გაგრძელებაზე/ ქალაქი თბილისი , ქუჩა ქსანი , მიმდებარედ, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე (ნაკვეთი 07/023);

დამკვეთი-განმცხადებელი

- მამუკა მერაბიშვილი პ/ნ 12001015468
- გარდაბნის რ-ნი, სოფ თელეთი

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 30.06.2014 წ. #1350857 გადაწყვეტილებით დამტკიცებულმიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 02.04.2015 წ. #AR1299200 განცხადებით მომართა მიწის ნაკვეთის მესაკუთრის მინდობილმა პირმა მამუკა მერაბიშვილმა და მოითხოვა 30.06.2014 წ. #1350857 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა, კერძოდ საპროექტო მიწის ნაკვეთის შეცვლილი ფართობის, საკადასტრო კოდისა და კონფიგურაციის დაფიქსირება.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ

თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 30.06.2014 წ. #1350857 გადაწყვეტილებით #01.11.19.007.009 (2500 მ2) საკადასტრო ერთეულზე ავტოსამრეცხაო ბოქსების ასაშენებლად სპეციალური (ზონალური) ნებართვის საფუძველზე (ქ. თბილისის მერის განკარგულება #1620 01.07.2014) დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
განმცხადებლის მიერ სამსახურში წარმოდგენილი იქნა ახალი ამონაწერი და საკადასტრო გეგმა საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო კოდი №01.11.19.007.038, ფართობი: 2887კვ.მ.), რომლის თანახმადაც შეცვლილია მიწის ნაკვეთის ფართობი, შეცვლილია საკადასტრო კოდი და მიწის ნაკვეთის კონფიგურაცია.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად,მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

ვინაიდან, კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, საკადასტრო ერთეულის ცვლილება უნდა აისახოს სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დამკვეთის მოთხოვნის დაკმაყოფილება. ვინაიდან მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები გაცემულია სპეციალური ზონალური ნებართვის საფუძველზე ქ. თბილისის მერის #1620 01.07.2014 განკარგულებაში ცვლილების საკითხი განიხილა ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭომ და მისცა დადებითი შეფასება; (ოქმი #16 (16.04.2015))

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 30.06.2014 წ. #1350857 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებს დაემატოს ახალი საკადასტრო გეგმა საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო კოდი №01.11.19.007.038, ფართობით: 2887კვ.მ.);
2. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 30.06.2014 წ. #1350857 გადაწყვეტილებით დამკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ: მიწის ნაკვეთის ფართობი მიეთითოს-2887 კვ.მ., საკადასტრო კოდი დაფიქსირდეს- #01.11.19.007.038;
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 30.06.2014 წ. #1350857 გადაწყვეტილებით დამკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად;

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.